ვებგვერდი, 111109014, 11/11/2011
სარეგისტრაციო კოდი
430030000.22.022.016221

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №184/ნ
2011 წლის 8 ნოემბერი ქ. თბილისი

სკოლების ბრენდირების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ტ^2" ქვეპუნქტისა და „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „მ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „სკოლების ბრენდირების ჩატარების წესი" დანართის შესაბამისად.

2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დ. შაშკინი

სკოლების ბრენდირების ჩატარების წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. ეს წესი არეგულირებს სკოლების (შემდგომში _ სკოლა) ბრენდირების ჩატარების წესს (შემდგომში _ ბრენდირება), რომლის მიზანია სკოლებს შორის კონკურენტული გარემოს შექმნა და მათი წახალისება სასწავლო პროცესის სრულყოფის მიზნით.

2. ბრენდირება საჯარო სკოლებისათვის სავალდებულოა.

3. ბრენდირება კერძო სკოლებისათვის ნებაყოფლობითია.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ა) ბრენდირება _ სკოლების ინდივიდუალური შეფასების სისტემა, რომლის შედეგად სკოლას შეიძლება მიენიჭოს მაქსიმუმ ათი ვარსკვლავი. ბრენდირება ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (შემდგომში _ სამინისტრო) მიერ დადგენილ კრიტერიუმებს. სკოლების ბრენდირებისას უმაღლესი შეფასება ენიჭება აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის მქონე სკოლას;

ბ) ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერმინთა მნიშვნელობა.

მუხლი 3. ბრენდირების კრიტერიუმები

ბრენდირების კრიტერიუმებია:

ა) **მასწავლებელთა კვალიფიკაცია, კერძოდ:**

ა.ა) მასწავლებელთა რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს პროფესიული განვითარების ტრენინგი;

ა.ბ) სერტიფიცირებული მასწავლებლების რაოდენობა;

ა.გ) სერტიფიცირებული მასწავლებლების რაოდენობა, რომლებსაც აქვთ მასწავლებელთა საბაზო კომპიუტერული უნარებისა და ინგლისური ენის – ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი;

ა.დ) სერტიფიცირებული მასწავლებლების რაოდენობა, რომლებიც მოხვდნენ საუკეთესო 25%-ში;

ა.ე) მაგისტრი და დოქტორანტი პედაგოგები.

ბ) **სწავლა და სწავლება, კერძოდ:**

ბ.ა) თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში;

ბ.ბ) ინკლუზიური სწავლება;

ბ.გ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები;

ბ.დ) წრეები;

ბ.ე) გახანგრძლივებული სწავლის ჯგუფები;

ბ.ვ) გაძლიერებული საგნები ან დამატებითი უცხო ენები;

ბ.ზ) მოსწავლეთა დასწრება;

ბ.თ) საბაზო საფეხურის წარჩინებულ მოსწავლეთა რაოდენობა (საბაზო საფეხურის სრულ ათებზე დასრულება);

ბ.ი) მოსწავლე-გამომგონებელთა კონკურსში „ლეონარდო და ვინჩი" მონაწილე მოსწავლეთა რაოდენობა;

ბ.კ) მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებმაც გადალახეს ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის პირველი ტური;

ბ.ლ) მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებმაც გადალახეს ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მეორე ტური;

ბ.მ) მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებმაც გადალახეს ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტური;

ბ.ნ) ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში გამარჯვებულ მოსწავლეთა რაოდენობა;

ბ.ო) საერთაშორისო ოლიმპიადაში საქართველოს ნაკრების სახელით მონაწილე მოსწავლეთა რაოდენობა.

გ) **პროგრამებსა და პროექტებში მონაწილეობა, კერძოდ:**

გ.ა) სამინისტროს, ადგილობრივი ან საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ პროექტებში/პროგრამებში მონაწილეობის მაჩვენებელი (სულ რამდენ პროექტში ჩაერთო სკოლა?);

გ.ბ) სპორტული ღონისძიებების რაოდენობა როგორც სასკოლო, ისე რეგიონალური მასშტაბით;

გ.გ) სპორტული მიღწევები (პირველი სამი ადგილი).

დ) სრული ზოგადი განათლების ატესტატის და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების მაჩვენებელი, კერძოდ:

დ.ა) რამდენმა მოსწავლემ გადალახა სკოლის გამოსაშვები გამოცდები;

დ.ბ) ოქროს მედალოსან მოსწავლეთა რაოდენობა;

დ.გ) ვერცხლის მედალოსან მოსწავლეთა რაოდენობა;

დ.დ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის მსურველ მოსწავლეთა რაოდენობა;

დ.ე) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ აბიტურიენტთა რაოდენობა;

დ.ვ) აბიტურიენტთა რაოდენობა, ვინც მოიპოვა სახელმწიფო სასწავლო გრანტი;

დ.ზ) აბიტურიენტთა რაოდენობა, ვინც მოიპოვა 50%-იანი ან მეტი სახელმწიფო სასწავლო გრანტი.

ე) ინსტიტუციური მონაცემები, კერძოდ:

ე.ა) სასკოლო შენობის მდგომარეობა:

ე.ბ) სასკოლო ინვენტარის მდგომარეობა:

ე.გ) სპორტული მოედანი;

ე.დ) სპორტული დარბაზი;

ე.ე) სკოლის მოქმედი სასადილო;

ე.ვ) ბიბლიოთეკა;

ე.ზ) საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია;

ე.თ) მოქმედი ინტერნეტი;

ე.ი) ალუმნაის ფონდის ფუნქციონირება;

ე.კ) საკონფერენციო/სააქტო დარბაზი;

ე.ლ) წიგნის ფონდი (რაოდენობა);

ე.მ) კომპიუტერების რაოდენობა სკოლაში (საბავშვო სასწავლო პორტატული კომპიუტერის _ ბუკების გარდა);

ე.ნ) სკოლის ვებგვერდი/სოციალური ქსელის გვერდი.

ვ) სკოლის უსაფრთხოება, კერძოდ:

ვ.ა) დარაჯი;

ვ.ბ) დაცვის პოლიცია;

ვ.გ) მანდატური;

ვ.დ) ღობე;

ვ.ე) ვიდეო თვალი;

ვ.ვ) ევაკუაციის გეგმა.

მუხლი 4. ბრენდირების პროცესი

1. ბრენდირების პროცესი მოიცავს შემდეგ საფეხურებს:

ა) ბრენდირების მაძიებლის თვითშეფასება და განაცხადის წარდგენა;

ბ) გადაწყვეტილების მიღება.

2. თვითშეფასება ხდება ბრენდირების კრიტერიუმების შესაბამისად.

3. სამინისტროში წარდგენილ განაცხადს უნდა დაერთოს თვითშეფასების ანგარიში.

4. თვითშეფასების ანგარიშის ფორმა მტკიცდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის (შემდგომში – მინისტრი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ -სამართლებრივი აქტით.

5. სკოლის თვითშეფასების შედეგად მიღებული მონაცემების განახლება ხდება წელიწადში ერთხელ, რომელიც წარედგინება სამინისტროს.

6. მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი კომისია (შემდგომში – კომისია) განიხილავს ბრენდირების თაობაზე წარმოდგენილ განაცხადს და თვითშეფასების ანგარიშს და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) სკოლისათვის ბრენდირების შედეგად ვარსკვლავების მინიჭების შესახებ;

ბ) სკოლისათვის ბრენდირების შედეგად ვარსკვლავების მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

7. სკოლისათვის ბრენდირების შედეგად ვარსკვლავების მინიჭების შესახებ და სკოლისათვის ბრენდირების შედეგად ვარსკვლავების მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

8. შეფასების დაწყებისას ყველა სკოლას ავტომატურად მინიჭებული აქვს ხუთი ვარსკვლავი.

მუხლი 5. სკოლის თვითშეფასების კონტროლი

ობიექტური თვითშეფასების განხორციელების კონტროლის მიზნით, კომისია ახორციელებს სკოლის მიერ თვითშეფასების შედეგად მიღებული მონაცემების გადამოწმებას.

მუხლი 6. ბრენდირების ან ბრენდირებაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება

სკოლისათვის ბრენდირების შედეგად ვარსკვლავების მინიჭების შესახებ და სკოლისათვის ბრენდირების შედეგად ვარსკვლავების მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს 10 დღის ვადაში სამინისტროში.